

საქართველოს კანონი
"საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში"
ცვლილებების შეტანის შესახებ"

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებანი; 1984 წლის 15 დეკემბერი №12 მუხლი 412) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 40-ე და 41-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 40 მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება

თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა მოქალაქეს, საწარმოს, დაწესებულებას ორგანიზაციას, ან სახელმწიფოს მაშინ მოსამართლე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას, მოვალეა იმავდროულად დააკისროს დამრღვევს მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

მუხლი 41 იმ მოვალეობის შესრულება, რომლის შეუსრულებლობისთვისაც შეფარდებული იყო ადმინისტრაციული სახდელი

მოსამართლე ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილებით ადასტურებს იმ მოვალეობის შესრულების ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობისთვისაც პირს შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი და დადგენილებაში განსაზღვრავს დარღვევის გამოსასწორებლად გასატარებელ ღონისძიებებს, რისი აღსრულებაც ხდება კანონით დადგენილი წესით.“

2. 135-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 135. ადგილობრივი სამგზავრო-სატრანსპორტო მომსახურების განხორციელება შესაბამისი ნებართვის გარეშე ან სანებართვო პირობების დარღვევით

ადგილობრივი სამგზავრო-სატრანსპორტო მომსახურების განხორციელება შესაბამისი ნებართვის გარეშე ან სანებართვო პირობების დარღვევით,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით;

იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით.-

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

3. 146-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

4. 146¹-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი. 146¹ დასუფთავების წესების დარღვევა.

1. სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების, უვარგისი კონსტრუქციების, მასალების, ნივთების, მიწისა და კლდოვანი ქანების გზებზე, მდინარეებში, ტბებში და მათ ნაპირებზე, ფერდობებსა და ხევებში, პარკებში, ბაღებში, სკვრებში, გაზონებში, ეზოებში, სპორტულ მოედნებზე, ავტოსადგომებთან, ბაზრებთან ან სხვა ადგილებში დაყრა, ნარჩენებისა და ნაგვის გატანის გატანა-გადაზიდვისა და დასუფთავების წესების დარღვევა, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 1 000 ლარის ოდენობით

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 3 000 ლარის ოდენობით.

3. იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების გატანაზე ხელშეკრულების გაუფორმებლობა ნარჩენების გამტან საწარმოებთან, თუ აღნიშნული სუბიექტები არ სარგებლობენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი მომსახურებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

5. ფოთლების, საყოფაცხოვრებო ან/და სამრეწველო ნარჩენების დაწვა, – გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

5. 147¹ მუხლი ამოღებულ იქნეს.

6. 148-152-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი. 148 ქალაქებსა და სხვა დასახლებული პუნქტების ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევა.

ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევა, აგრეთვე, ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესების დაუცველობა, საწარმოებისათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციებისათვის დამაგრებელი ან/და მიმდებარე ტერიტორიის მოუვლელობა, მასზე სამშენებლო ან სხვა ნარჩენების თვითნებურად დაყრა, –

გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, იურიდიულ პირის დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, იურიდიულ პირის დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

მუხლი 149. წყალსადენის ქსელში თვითნებური ჩართვა და სასმელი წყლით სარგებლობის წესების სხვა დარღვევები

წყალსადენის ქსელში საცხოვრებელი სახლების, სადგომების, მიწის ნაკვეთების თვითნებური ჩართვა, აგრეთვე სასმელი წყლით სარგებლობის წესების სხვა დარღვევები, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 1 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 150. ქალაქის იერსახის დამახინჯება

სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, გზის საფარზე; ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება, ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი. ღობეების და შენობების შეუღლებადად მიტოვება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი უძრავი ქონების დაცვის ზონაში, –

- გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით;
4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი განმეორებით,-
გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით;
5. ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 10 დღის ვადაში,-
გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 150¹ ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობის ან/და იერსახის თვითნებური შეცვლა

- ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობის ან/და იერსახის თვითნებური შეცვლა, მათ შორის შენობა-ნაგებობის ფერის შეცვლა ან ამ სამუშაოთა შესრულების ვადის დარღვევა,-
გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით;
2. იგივე ქმედება ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი უძრავი ძეგლების დაცვის ზონაში,-
გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით;
3. საგენტილაციო სისტემის, ბანკომატის, სარეცხის საშრობის, გისოსების ან/და სხვა მსუბუქი კონსტრუქციის თვითნებური მონტაჟი ან/და განთავსება,-
გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის, დაწესებულების და ორგანიზაციის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით;
4. იგივე ქმედება ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი უძრავი ძეგლების დაცვის ზონაში,-
გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით;
5. ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გამოუსწორებლობა, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 20 დღის განმავლობაში,-
გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით;
6. ამ მუხლის 1-ლი-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით ამ მუხლის მე-3-ე ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 6 თვის განმავლობაში –
გამოიწვევს დაჯარიმებას 30 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 151. ქალაქებში მწვანე ნარგავების თვითნებური დაზიანება ან/და განადგურება.

1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწაზე მწვანე ნარგავების დაზიანება ან თვითნებური მოჭრა, ან გამწვანებისათვის გამოყოფილი ზოლის დაზიანება,-
გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით;
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით,-
გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

მუხლი 152. ტერიტორიის დაზიანება სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას.

- ეზოების, ქუჩებისა და მოედნების თვითნებური გადათხრა, მათი სამშენებლო მასალებით ჩახერგვა, გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება,-
გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.
2. იგივე ქმედება ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი უძრავი ძეგლების დაცვის ზონაში,-
გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით;
3. ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გამოუსწორებლობა სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში,-

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.“

7. 152¹ მუხლი ამოღებულ იქნეს.

8. 152²-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 152². საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის თვითნებური შეზღუდვა

საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის თვითნებური შეზღუდვა -

გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიულ პირთა დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

დარღვევის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში – გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით, იურიდიულ პირთა დაჯარიმებას 4000 ლარის ოდენობით.“

9. 159-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 159 რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა

1. რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა,-

გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.“

2. იგივე ქმედება ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ამ ქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.“

9. 239-ე მუხლის მე-14 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. ამ კოდექსის 51³, 53³, 55-ე, 55², 55³ მუხლებით, 60¹ მუხლის პირველი ნაწილით, 145-ე–152-ე, 159-ე და 159¹-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ უფლებამოსილი ორგანოები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი